



MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი

2013 წლის 8 მაისი

სარჩევი

1.	წინასიტყვაობა	3
2.	პროექტის კონტექსტი	3
3.	პროექტის მიზნები და აღწერა	5
4.	შერჩევის კრიტერიუმები და ჩამდინარი წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში უფლებამოსილი ქვეპროექტები	6
5.	მართვის სტრუქტურა	7
6.	გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის შესავალი	8
7.	პროექტის გარემოსდაცვითი შესატყვისობა	8
8.	ქვეპროექტის სკრინინგი და დამტკიცება	10
9.	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მართვის დაგეგმვა	11
10.	საზოგადოებასთან კონსულტაციები	11
11.	გარემოსდაცვითი ვალდებულებები მგფ-ისა და მისი კონტრაქტორებისთვის	12
12.	გარემოსდაცვითი მონიტორინგი	12
13.	ანგარიშგება	13
დანართი 1	ქვეპროექტების გარემოსდაცვითი სკრინინგი	15
დანართი 2	ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი	17
დანართი 3	გარემოსდაცვითი ღონისძიებების სახელმძღვანელო პრინციპები კონტრაქტორებისათვის	18
დანართი 4	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შემოთავაზებული ფორმატი	22
დანართი 5	გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია	23
დანართი 6	საჯარო კონსულტაციის ოქმი	26

1. წინასიტყვაობა

წინამდებარე გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტი (EMF) წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) სამოქმედო სახელმძღვანელოს განუყოფელ ნაწილს, რომელიც მომზადებულია ჩამდინარი წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის სახელმწიფო ნორმების და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად განხორციელების მიზნებისათვის. მსოფლიო ბანკი მოქმედებს შვედეთის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (SIDA) მეშვეობით შვედეთის პროგრამული სატრასტო ფონდის მიერ უზრუნველყოფილი საგრანტო თანხის ადმინისტრატორის სახით.

EMF მოიცავს პროექტის მართვის გარემოსდაცვით, კულტურულ და სოციალურ ასპექტებს. EMF ასევე ეხება პროექტის განხორციელების პროცესში არანებაყოფლობითი განსახლების შესაძლებლობას. არანებაყოფლობითი განსახლებისადმი მიდგომის მექანიზმი არ შედის წინამდებარე EMF-ში, რადგანაც მგფ-ს გააჩნია საკუთარი განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF), რომელიც მოიცავს განსახლების პოლიტიკის გამოყენების გარემოებების განსაზღვრის და განსახლების სამოქმედო გეგმების შემუშავების და განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს.

2. პროექტის კონტექსტი

ძირითადი საქალაქო სამსახურების, როგორცაა წყალმომარაგება, კანალიზაცია, ადგილობრივი გზები და მყარი ნარჩენების განკარგვა, ხარისხის, მასშტაბების, და მოვლა-პატრონობის გაუარესების მრავალწლიანი პერიოდის შედეგად დაეცა ცხოვრების დონე და შეიზღუდა კერძო სექტორის განვითარება მიმდინარე დეკადის ადრეულ პერიოდში. ისეთი სამსახურებისათვის, როგორცაა წყალმომარაგება და კანალიზაცია, საბჭოთა ეპოქის მემკვიდრეობას შედეგად მოჰყვა არაეფექტური მომსახურება და ფართომასშტაბიანი სუბსიდირება. სიტუაციამ გაუმჯობესება დაიწყო 2003 წლიდან, მშვიდობიანი ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, მაგრამ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საჭიროებს არსებით რეაბილიტაციას ქვეყნის უმეტეს ნაწილში.

საკანალიზაციო მომსახურება საქართველოში ხშირად ბლოკირებულია სანიტარული მომსახურების არაადეკვატური დონის და განადგურებული (ან არარსებული) ინფრასტრუქტურის გამო. დასახლებების უმეტესობას არ გააჩნია ჰიგიენური საშუალებები ჩამდინარი წყლების გასაყვანად, რაც ეხება როგორც “დეცენტრალიზებულ” (სახლებში არსებულ) ისევე “ცენტრალიზებულ” (კანალიზაციის შემკრები ქსელი წყალგამწმენდ ნაგებობამდე) საშუალებებს. ზემოხსენებული ზემოქმედებას ახდენს ცხოვრების დონეზე, მოსახლეობის ჯანდაცვაზე, ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე (განსაკუთრებით იქ, სადაც მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება) და გარემოს ხარისხზე მთელი

საქართველოს მასშტაბით. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 35%-ის მომსახურება ხორციელდება კანალიზაციის შემკრები ქსელის მეშვეობით დაახლოებით 45 ურბანულ ცენტრში; ჩვეულებრივ მიწები ათეულ წლებს ითვლის და მძიმე დეგომარეობაში იმყოფება. 29 საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობიდან მაქსიმუმ 5 ფუნქციონირებს მინიმალური ეფექტურობით – ისინი მხოლოდ ფიზიკურ წმენდას ახორციელებენ (ერთი ახალი წყალგამწმენდის გამოკლებით); შესაბამისად, მრავალრიცხოვანი საკანალიზაციო ქსელი აგროვებს ჩამდინარ წყლებს და მათ კონცენტრირებას ახდენს, მაგრამ გაუწმენდავად უშვებს, რითაც აბინძურებს წყლის ობიექტებს. სახელმწიფო საინვესტიციო კაპიტალი ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად, გამოსაცვლელად ან ახლის ასაშენებლად, ძალზედ მწირი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდის განმავლობაში.

საქართველომ, მსოფლიო ბანკის დახმარებით IDA-ს დაფინანსებული მუნიციპალური და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში მოამზადა ჩამდინარე წყლების განკარგვის სტრატეგიის პროექტი და ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლები, ჩამდინარე წყლების გასაწმენდად ექვს შერჩეულ ქალაქში. ბანკი ასევე აფინანსებს საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამას, რისთვისაც იყენებს ინტეგრირებულ მიდგომას ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის (რეგიონული განვითარების პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია კახეთის რეგიონზე - RDP და რეგიონული განვითარების მეორე პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია იმერეთის რეგიონზე - RDP II). ორივე პროექტი გამიზნულია ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესებაზე რათა მხარდაჭერილი იქნას ტურიზმის სექტორის მონაწილეობა ორივე რეგიონის ადგილობრივ ეკონომიკაში. პროექტები უზრუნველყოფენ ორივეს – ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს და ტექნიკურ დახმარებას.

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი შეავსებს ამ პროექტებს ქვემოთმოყვანილის მეშვეობით: (ა) ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობის გაუმჯობესება საქართველოში ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვისათვის; და (ბ) პარალელური დაფინანსების უზრუნველყოფა 2-3 ეკონომიკურად ეფექტური საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპერიმენტული რეაბილიტაციისათვის პროგრამის სამიზნე რეგიონებში, ე.ი. იმერეთსა და კახეთში. ეს კი უზრუნველყოფს ტურიზმის განვითარების ზომების გატარებას, რომელიც მდგრადი და ხელსაყრელი იქნება გარემოსათვის.

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდია 2013-2015 წლები.

3. პროექტის მიზნები და აღწერა

ჩამდინარე წყლების განკარგვის პროექტის მიზანს წარმოადგენს ამ სექტორის ხელშეწყობა საქართველოში და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობების პროექტის განხორციელება, რაც შესატყვისობაში იქნება მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან და EU-ს კანონმდებლობასთან.

პროექტი მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ კომპონენტებს და ფოკუსირებული იქნება ინტეგრირებულ მიდგომაზე ჩამდინარე წყლების განკარგვის გაუმჯობესებაზე. ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი, საქართველოს მთავრობის, მუნიციპალიტეტების, ორმხრივი დონორების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მონაწილეობით, წვლილს შეიტანს წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის საერთო ეფექტურობის გაუმჯობესებაში.

პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ნაწილი I: ტექნიკური დახმარება

- (ა) საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ინფრასტრუქტურისათვის ხელსაყრელი სტრატეგიული გარემოს შექმნაში;
- (ბ) სამუშაო ადგილზე ჩამდინარე წყლების ოპერირებასა და ტექ-მომსახურებაში ტრენინგების ჩატარება, შლამის განკარგვის, განთავსებისა და რესურსების ხელახალი გამოყენების ჩათვლით;
- (გ) ქვემოთმოყვანილის ჩატარება: (i) ტრენინგი ჩამდინარე წყლების მართვის დარგში, ეკონომიურობის, მდგრადობის და დანახარჯების ამოღების ჩათვლით; (ii) სასწავლო ტურები ჩამდინარე წყლების სხვადასხვა მდგრადი ტექნოლოგიების თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის შესასწავლად;
- (დ) შლამის განკარგვის პოლიტიკის შემუშავება, საბოლოო გატანის ჩათვლით;
- (ე) საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო სემინარების მოწყობის მეშვეობით, რომელიც ფოკუსირებული იქნება ჩამდინარე წყლების განკარგვაზე;
- (ვ) ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლების, საინჟინრო პროექტების, მშენებლობის ზედამხედველობის, მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებების მომზადება, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის.

ნაწილი II: საინვესტიციო გრანტები

წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორების ეფექტურობის გაზრდა დაახლოებით ორი-სამი წყალგამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის გზით, რომელიც დაფინანსდება საინვესტიციო ქვეპროექტების გრანტების თანხით.

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ ძირითად შედეგებს წარმოადგენს (i) გაზრდილი ინსტიტუციური და ტექნიკური წარმადობა ჩამდინარე წყლების განკარგვის მიზნით, (ii) ქალაქის იმ მოსახლეობის გაზრდილი თანაფარდობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ჩამდინარე წყლების მდგრად სამსახურზე, და (iii) გაუწმენდავი წყლების შემცირებული ჩადინება მიმღებ წყლის ობიექტებში.

პროექტის მთლიანი ღირებულება

პროექტის მთლიანი სახარჯთაღიწვო ღირებულება (უნდა მომზადდეს და დამტკიცდეს), ფიზიკური და ხარჯებთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი გარემოებების ჩათლით, უდრის ცხრა მილიონ ცხრაასოცდათხუტმეტი ათას ოთხმოცდარვა აშშ დოლარს (9,935,088 აშშ დოლარი).

4. ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში ქვეპროექტების შერჩევის კრიტერიუმები და უფლებამოსილება

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი საინვესტიციო გრანტები გამოყენებული უნდა იქნას მნიშვნელოვანი გარდამავალი მიზნების ხელშეწყობისათვის, როგორცაა დანახარჯების კონტროლი, დანახარჯების ამოღება და მოხმარების მხარის ეფექტური მართვა, ფასის ხელმისაწვდომობის მხრივ არსებული შეზღუდვების კონტექსტში. ზემოხსენებული ზედმიწევნით უნდა იქნას შეფასებული ეკონომიკური, ფინანსური, და უსაფრთხოების პერსპექტივების თვალსაზრისით და ხელშეწყობილი იქნას უმდაბლესი ფასის მქონე გადაწყვეტა. ბენეფიციარი მუნიციპალიტეტების შერჩევა უნდა განხორციელდეს გარემოსდაცვითი პირობების რაოდენობრივი და განზომილებადი გაუმჯობესების მიღწევის და დანახარჯების ამოღების საფუძველზე მდგრადი მომსახურებისაკენ მიმართული რეფორმების პოტენციალის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით შეფასდება მუნიციპალიტეტის ზომა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საერთო და ადგილობრივი ფილიალის შესაძლებლობა, რეფორმების ორიენტაცია, დახმარების ეკონომიკური და დამატებითობის ეფექტი.

მხოლოდ ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც იკისრებენ ჩამდინარე წყლების გაწმენდაში ინვესტირების ვალდებულებას (ე.ი. გამოყოფილი აქვთ მიწა, მომზადებული აქვთ დოკუმენტაცია, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა

წარმოადგენს მათი პრიორიტეტული საინვესტიციო გეგმის ნაწილს), მაგრამ დაფინანსების შეზღუდულობის გამო არ ძალუძთ განახორციელონ თავიანთი გეგმები, უფლებამოსილნი იქნებიან მიიღონ დახმარება საინვესტიციო გრანტის სახით. უპირატესობა მიენიჭება იმ შემთხვევებს, სადაც უფრო დიდია გარემოსდაცვითი სარგებელი. წესის თანახმად, საინვესტიციო გრანტები იქ უნდა იქნას გამოყოფილი, სადაც დანახარჯების ამოღების მოთხოვნას (საოპერაციო და ტექნომსახურების ხარჯები, აქტივების ამორტიზაციის და ასევე ახალი საინვესტიციო ხარჯები) მხარს უჭერს ადგილობრივი ხელისუფლება. შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს წინსვლა მოსამზადებელ პროცესში, და შესაბამისად გამოყენებული პოლიტიკა იქნება პირველად მოსულს პირველს მოემსახურებიან.

ბაზრის განვითარებას ძირი არ უნდა გამოუთხაროს გრანტების უსისტემო გამოყენებამ. შესაბამისად, გრანტები უნდა დაექვემდებაროს ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმებს. საინვესტიციო გრანტები არ უნდა იქნას გამოყენებული კერძო დაფინანსების აღსაკვეთად, და არც რეფორმების სტიმულირების ან კერძო დაფინანსების გადაწყვეტების შესამცირებლად. საინვესტიციო გრანტის კომპონენტის გამოსაყენებლად, ბანკი ბენეფიციართან გააფორმებს საგრანტო ხელშეკრულებას.

საინვესტიციო გრანტის კომპონენტი შერწყმული უნდა იქნას სხვა საინვესტიციო დაფინანსებებთან, როგორცაა სახელმწიფო/ადგილობრივი/კერძო/საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წყაროები. ბანკი უზრუნველყოფს პარალელურ სასესხო/საკრედიტო წილს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელების შემოთავაზებული პროექტებისათვის. საქართველოს მთავრობა და მუნიციპალიტეტები გამოყოფენ თანადაფინანსებას ზემოხსენებული ინვესტიციებისათვის. საინვესტიციო გრანტის კომპონენტი ინდივიდუალური პროექტისათვის შვედეთიდან შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს, მაგრამ მაინც უნდა იძლეოდეს პროექტის განხორციელების შესაძლებლობას.

5. მართვის სტრუქტურა

მსოფლიო ბანკი მართავს ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილ სატრასტო ფონდს და ახორციელებს მის ადმინისტრირებას და ასევე უზრუნველყოფს მიმღების მიერ განხორციელებული საქმიანობების მონიტორინგსა და ზედამხედველობას. სატრასტო ფონდის რესურსებით დასაფინანსებელი საქმიანობები დაექვემდებარება შვედეთის წინასწარ თანხმობას, ქვემოთმოყვანილი პუნქტებისათვის:

(1) ტექნიკური დახმარების კომპონენტთან დაკავშირებული საქმიანობებისათვის, მგვ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან შეთანხმებით წარუდგენს ბანკს სამუშაო გეგმას. ბანკი შეაფასებს მას და წარუდგენს SIDA-ს წინადადებას პროექტის მოკლე ანგარიშის ფორმით, სავარაუდო ბიუჯეტთან და საბოლოო სტრუქტურასთან

ერთად. მგფ-ს მიერ სატენდერო პროცესის დაწყებამდე, თითოეული წინადადება SIDA -სათვის უნდა იქნას წარდგენილი წერილობითი თანხმობისათვის.

(2) საინვესტიციო გრანტის კომპონენტთან დაკავშირებული საქმიანობებისათვის, მგფ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან შეთანხმებით, წარუდგენს ბანკს სამუშაო გეგმას. მსოფლიო ბანკი შეაფასებს და წარუდგენს SIDA -ს წინადადებას ქვეპროექტის შეფასების ანგარიშის (SAR) ფორმით, რომელშიც შევა საბოლოო სტრუქტურა, სავარაუდო ბიუჯეტი და ინდივიდუალური პროექტების შეფასების საკონტროლო სია, რომლის ფორმაც სატრასტო ფონდისათვის გამოყენებული მგფ-ს სამოქმედო სახელმძღვანელოს შესატყვისი უნდა იყოს. მგფ-ს მიერ სატენდერო პროცესის დაწყებამდე, თითოეული წინადადება SIDA -სათვის უნდა იქნას წარდგენილი წერილობითი თანხმობისათვის.

6. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის შესავალი

წინამდებარე გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს ყოველდღიურ ტექნიკურ სახელმძღვანელოს პროექტის გამართულად განხორციელებისათვის გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით. იგი წარმოადგენს საპროექტო წინადადებების სკრინინგის სახელმძღვანელოს, ბუნებრივი გარემოს გაუარესების, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების, უარყოფითი სოციალური ზემოქმედების, და საერთაშორისო წყალსატევებზე ზეგავლენის მოსალოდნელი რისკების შეფასებისთვის. სკრინინგის შედეგები იმისათვის გამოიყენება, რათა განისაზღვროს შემოთავაზებული ქვე-პროექტი მიკუთვნება თუ არა გარემოსდაცვითი B კატეგორიას და მისი ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტში გაერთიანების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ შერჩევის სხვა კრიტერიუმებსაც დააკმაყოფილებს. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს შემდგომ ინსტრუქციებს საპროექტო წინადადებების გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფორმატთან და შემამსუბუქებელი ზომების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

7. პროექტის გარემოსდაცვითი შესატყვისობა

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის სრული დაცვით, ქვეყნის გარემოსდაცვითი მართვის, სოციალური დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, კანონების, ნორმების და სტანდარტების ჩათვლით. ვინაიდან მსოფლიო ბანკი წარმოადგენს, პროექტის განსახორციელებლად SIDA-ს მიერ უზრუნველყოფილი საგრანტო სახსრების ადმინისტრაციულ ორგანიზაციას, ასევე გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის პრინციპები.

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტს მოქმედებაში მოჰყავს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შემდეგი პრინციპები:

- OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება
- OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები
- OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება
- OP/BP 7.50 პროექტები საერთაშორისო წყლებში

პროექტი მოიცავს საინვესტიციო კომპონენტებს ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად და შესაბამისად მოქმედებაში მოჰყავს გარემოსდაცვითი შეფასება OP/BP 4.01. OP/BP 4.01-ის პრინციპებზე დაყრდნობით, ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტისათვის მიკუთვნებულია გარემოსდაცვითი B კატეგორია და ყველა მასში შემავალი საინვესტიციო ქვეპროექტი გაერთიანდება გარემოსდაცვით B კატეგორიაში. ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში A კატეგორიის ქვეპროექტები დასაფინანსებლად არ დამტკიცდება. ყველა ქვეპროექტი საჭიროებს გარემოსდაცვითი რისკების შეფასებას, რისკების შემამსუბუქებელი ზომების წყების შემუშავებას თითოეული კონკრეტული ქვეპროექტისათვის, და სამუშაოების გარემოსდაცვითი მონიტორინგის დაგეგმვას. ზემოხსენებული განხორციელება თითოეული ქვეპროექტისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასებით (EIA) და საიტ-სპეციფიური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის (EMPs) შემუშავებით.

პროექტის ფარგლებში შერჩეული წყალგამწმენდი ნაგებობებიდან წყლის ჩაშვება სავარაუდოდ სავარაუდოდ მოხდება ტრანს-სასაზღვრო მდინარეებში ან შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებში. შესაბამისად, ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტს მოქმედებაში მოჰყავს OP/BP 7.50. იდენტიფიცირებული პროექტები შემოწმდება იმის დასადგენად, ქვეპროექტების განხორციელების შედეგად ხომ არ დაექვემდებარება რაიმე სახის ხარისხობრივ და/ან მოცულობით დადებით ან უარყოფით ცვლილებას საერთაშორისო წყლების ნაკადები და უნდა ეცნობოს თუ არა ქვეპროექტის შესახებ ინფორმაცია სანაპიროების მფლობელ ქვეყნებს.

OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები ამოქმედდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ თუ სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება კულტურული ან ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს, მათ ზეგავლენა არ იქონიონ არსებული ნაგებობების მდგრადობაზე და არ შელახონ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ისტორიული და ესთეტიკური ღირებულება. ეს უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე გამოიყენება შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაშიც, თუკი ისინი გამოჩნდება მიწის სამუშაოების წარმოებისას.

OP/BP 4.12 ამოქმედდება მიზნობრივი ინვესტიციების ფარგლებში არანებაყოფლობითი მიწის შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში. ვინაიდან ამ ინვესტიციების ადგილმდებარეობა განხორციელებამდე უცნობია, მომზადდება

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF) და შემდგომ საჭიროებისამებრ RPF-ის შესაბამისად შემუშავდება განსახლების სამოქმედო გეგმები (RAPs) ინდივიდუალური ქვეპროექტებისათვის. ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის სრული კომპენსირება უნდა დასრულდეს ნებისმიერ მოცემულ საპროექტო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკა ასევე მოითხოვს, რომ ყველა საინვესტიციო პროექტში ასახული იქნას საზოგადოების მონაწილეობის შედეგები და სამთავრობო ინტერესები ინტეგრირებული იქნას კერძო ბიზნესებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებთან. ამ მიმართულებით, მგფ უზრუნველყოფს, რომ ქვეპროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშებისა და საიტ-სპეციფიური EMP-ების მომზადების პროცესი მოიცავდეს კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან და შესაბამისი დოკუმენტაციის საჯაროობას.

8. ქვეპროექტის სკრინინგი და დამტკიცება

ქვეპროექტის სკრინინგის მიზანს წარმოადგენს (დანართი 1) ბუნებრივ გარემოზე, სოციალურ ფენებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი ძირითადი საფრთხეებისა და სარგებლის განსაზღვრა, ასევე საერთაშორისო წყალსატევებზე შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა. იმის მიხედვად, რომ სხვადასხვა ქვეპროექტებთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ყოველი მათგანი მაინც სავარაუდოდ გაერთიანდება გარემოსდაცვით B კატეგორიაში. ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში არ გაერთიანდება A კატეგორიის ქვეპროექტები. ამგვარი პროექტები უფლებამოსილი არ არის. ქვე-პროექტისათვის გამოყენებული სათანადო გარემოსდაცვითი მიდგომა უნდა მოიცავდეს გზშ-ს ჩატარებას (რაშიც შედის გზშ-ს ანგარიშის მომზადება და EMP –ის შემუშავება კონკრეტული ობიექტისათვის), OP/BP 7.50-ის ამოქმედების საჭიროების განსაზღვრას მოცემული ქვეპროექტისათვის და სანაპიროს მფლობელი ქვეყნისათვის შეტყობინების მომზადებას, საჭიროებისამებრ.

სოციალური სკრინინგი ასევე წარმოადგენს ქვეპროექტის სკრინინგისა და დამტკიცების პროცესის ნაწილს. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს კონკრეტული პროექტისათვის OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლების ამოქმედების საჭიროება. განსახლების საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ნაბიჯები და ქმედებები განისაზღვრება მგფ-ს მიერ მიღებული RPF-ის შესაბამისად. სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი ქვეპროექტებისათვის განხორციელდება სოციალური სკრინინგის ფორმის გამოყენებით (დანართი 2).

9. გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება და მართვის დაგეგმვა

შემოთავაზებული ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების (ESIA) მიზანს წარმოადგენს ბუნებრივ გარემოზე, პროექტის განხორციელებისას სოციალურ ფენებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი პოტენციური რისკების შეფასება და ანალიზი, ასევე საერთაშორისო წყალსატევებთან დამოკიდებულების განსაზღვრა; მოსალოდნელი ზემოქმედებების, მათი მასშტაბის, სიმძლავრის და ხანგრძლივობის იდენტიფიცირება; შემოთავაზებული პროექტის და ტექნოლოგიური მიდგომების ალტერნატივების შესწავლა; მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემამსუბუქებელი გზების განსაზღვრა (და ასევე დადებითი ზემოქმედების გაძლიერების შესაძლო გზების განსაზღვრა); რეკომენდირებული შემამსუბუქებელი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ განსაზღვრა; და სექტორის შემუშავება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგის აპლიკაციისათვის. პოტენციური ზემოქმედებები, როგორც მხარდაჭრელი საპროექტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის ეტაპზე, ასევე ექსპლოატაციისას, განხილულ უნდა იქნას გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში. გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმები გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

10. საჯარო კონსულტაციები

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი მომზადებულია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რამდენიმე სამინისტროს ხელმძღვანელობისა და მიზნობრივი მუნიციპალიტეტების მმართველი და თვითმმართველი ორგანოების ჩათვლით, ინტენსიური და საფუძვლიანი კონსულტაციების საფუძველზე. ცალკეული ქვე-პროექტების მომზადება გულისხმობს ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან კონსულტაციებს გარემოს დაცვისა და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით, თუ რა სარგებლობას მოუტანს ეს ქვე-პროექტები მოსახლეობას და რა ნეგატიური ზეგავლენაა მოსალოდნელი. კონსულტაციების მიზანი იქნება ქვე-პროექტების მოსალოდნელი პოზიტიური ზემოქმედებების გაზრდისა და მათი განხორციელების შედეგად მიღებული ნეგატიური მხარეების მინიმუმამდე დაყვანის/შემცირების შესაძლებლობების ძიება.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების წინასწარი ანგარიშები, გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ჩათვლით, უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ დოკუმენტები მომზადდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე და შესაბამის ფორმატში და ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მათგანისათვის. გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშებთან და გარემოსდაცვითი მართვის გეგმებთან დაკავშირებით შესაძლებელი იქნება შენიშვნების გაკეთება,

ასევე ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. საზოგადოებრივი აზრი გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშების საბოლოო ვარიანტის მომზადებისას და საკონსულტაციო პროცესის დამადასტურებელი საბუთები თან დაერთვება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების დასკვნით ანგარიშებს და შეინახება ფაილში.

11. გარემოსდაცვითი ვალდებულებები მგფ-ისა და მისი კონტრაქტორებისთვის

გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შემუშავება უნდა დასრულდეს სამუშაოების ტენდერის გამოცხადებამდე და თან ერთვოდეს სატენდერო დოკუმენტაციას, ტენდერის პოტენციური მონაწილეების, მათი მხრიდან შესასრულებელი გარემოსდაცვითი სტანდარტებზე, ინფორმირების მიზნით, რადგან ეს საკითხები აისახოს მათ სატენდერო განაცხადში. უფრო დიდი მოცულობისა და ცალკეული შემამსუბუქებელი ღონისძიებები ასახული და შესაბამისად განფასებული უნდა იყოს სამუშაოთა მოცულობის უწყისებში.

გარემოსდაცვითი მართვის გეგმა და სახელმძღვანელო პრინციპები კონტრაქტორებისთვის (იხ. დანართი 3) სამუშაოთა ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი ხდება მის დასრულებამდე და კონტრაქტორებისთვის მათი შესრულება სავალდებულოა. მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოთა დამკვეთი პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების პირობების, ასევე გარემოსდაცვითი გეგმის შესაბამისად შესრულების მეთვალყურეობაზე. უმნიშვნელო დარღვევების შემთხვევაში, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი, მაგრამ შექცევადი ზიანი, კონტრაქტორს ეძლევა 48 საათი პრობლემის მოგვარებისა და გარემოს აღდგენისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აღდგენის პროცესი დამაკმაყოფილებელი იქნება მოცემული პერიოდისათვის, სხვა ტიპის ქმედებების განხორციელების აუცილებლობა აღარ დადგება დღის წესრიგში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსენებული პერიოდის განმავლობაში არ მოხდა შესაბამისი რეაგირება, მგფ-ი უფლებამოსილია აიყვანოს სხვა კონტრაქტორი აღდგენითი სამუშაოებისთვის და თანხა გადაუხადოს დამრღვევი კონტრაქტორის მომდევნო ანაზღაურების წილიდან. მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს გრძელვადიან ან შეუქცევად დაზიანებას, განხორციელდება ფინანსური ჯარიმა, რაც უტოლდება კონტრაქტის ღირებულების 1%-ს, ამას დაემატება აღდგენითი ღონისძიებების საფასურიც.

12. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება პროექტის განხორციელების პერიოდში მგფ-ის საზედამხედველო სამუშაოს განუყოფელი ნაწილია. მგფ პასუხისმგებელია გააკონტროლოს, რომ სამუშაოთა მწარმოებელი კონტრაქტორების

ობიექტზე მომუშავე მენეჯერები ინფორმირებული არიან გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ და ინსტრუქტაჟს უტარებენ მუშებს/თანამშრომლებს, გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმებში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად. მგფ-მა კონტრაქტორებს უნდა მოსთხოვოს ასფალტ/ბეტონის წარმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარემოსდაცვითი ნებართვის; ხრემის, ქვებისა და ქვიშის (კარიერის არსებობის შემთხვევაში) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის და ნარჩენების განკარგვაზე ადგილობრივი ხელმძღვანელობის წერილობით თანხმობის დროული წარდგენა. მგფ უნდა განახორციელოს ობიექტზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მუდმივი კონტროლი, რათა დაადგინოს კონტრაქტორების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა, მოახდინოს არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების ან რისკების იდენტიფიცირება, ასევე დააკვირდება დაგეგმილი აღდგენითი ღონისძიებების სათანადო შესრულებაზე. გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმების მოთხოვნებთან შეუსაბამობის დაფიქსირების შემთხვევაში, მგფ კონტრაქტორებს მოსთხოვს აღდგენითი ღონისძიებების გატარებას და მკაცრად გააკონტროლებს მათ შემდგომ განხორციელებას.

13. ანგარიშგება

ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დოკუმენტირება სავალდებულოა. ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები უნდა მომზადდეს მონიტორინგის სპეციალური ფორმების (იხ. დანართი 5) შევსების საშუალებით, რომელშიც აისახება გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული თითოეული შემამსუბუქებელი ღონისძიების ხარისხი და მოცულობა. ზემოთ აღნიშნულ მონიტორინგის სპეციალურ ფორმებში მოცემულ ინფორმაციას თან უნდა ერთვოდეს ობიექტზე გადაღებული და დათარიღებული ფოტომასალა.

მსოფლიო ბანკისთვის წარდგენილი პროექტის მიმდინარეობის კვარტალური ანგარიშების გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული თავები უნდა მოიცავდეს უფრო საფუძვლიან, ანალიტიკურ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში, რაც გულისხმობს გარემოსდაცვით გეგმასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახრის/დარღვევის მიმოხილვას, რომელიც გამოვლინდება ანგარიშის პერიოდში, კონტრაქტორებისთვის მიცემულ მითითებებს ნებისმიერი ნაკლის ან გამოვლენილი პრობლემის შესახებ, ასევე გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებს.

სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილ ნებისმიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევაზე, ან საკითხზე, რომელმაც შესაძლოა პირდაპირ ან ირიბად მოახდინოს ზეგავლენა გარემოზე, ფიზიკურ, კულტურულ რესურსებზე, პროექტის განხორციელებაში ჩართულ პერსონალზე, ან კიდევ საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაზე, სავალდებულოა მსოფლიო ბანკის დაუყოვნებლივი ინფორმირება ანგარიშის წარდგენის ვადების გათვალისწინების გარეშე.

მგფ პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ანგარიშების წარდგენაზე ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში. მგფ-ს შეუძლია გამოიყენოს საკონსულტაციო მომსახურება ზემოთ ხსენებული დავალებების შესასრულებლად.

ქვეპროექტების გარემოზე ზეგავლენის შეფასების სკრინინგი

ა. ზემოქმედების იდენტიფიკაცია

აქვს თუ არა პროექტს საგრძნობი და/ან შეუქცევადი გავლენა გარემოზე, რომლის შემსუბუქებაც ტექნიკურად და ფინანსურად შეუძლებელია?	
რაში მდგომარეობს პროექტის მნიშვნელოვანად სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?	
დაკავშირებულია თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება საერთაშორისო წყლის უწყებებთან?	

ბ. შემამსუბუქებელი ზომები

რა ალტერნატივებია განხილული პროექტის განხორციელების გეგმაში და რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	
წინა ანალოგიური პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტის განხორციელების გეგმაში?	
მონაწილეობდნენ თუ არა პროექტის მომზადებაში დაინტერესებული საზოგადოების ჯგუფები და ადეკვატურად იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და გამოცდილება?	

ბ. კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით:

1. ქვე-პროექტი:

უარყოფილია

მიღებულია

2. სავარაუდოდ ქვე-პროექტი ხარისხობრივ და/ან რაოდენობრივ ზემოქმედებას მოახდენს ტრანსსასაზღვრო წყალსატევზე.

კი

არა

ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)		
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბელგები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა და გარემოსდაცვითი დონსიძიებების ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

**გარემოზე ზეგავლენის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები
კონტრაქტორებისათვის**

დანიშნულება

კონტრაქტორებისათვის განკუთვნილი გარემოზე ზეგავლენის მართვის სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებაა განსაზღვროს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის (მგფ) მისაღები სამშენებლო პრაქტიკის მინიმალური სტანდარტები.

სამანქანო და ფეხით მოსიარულეთა გზები

მშენებლობის პროცესში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად შესაძლოა საჭირო გახდეს დროებით ან მუდმივად გარკვეული სამანქანო და საქვეითო ბილიკების გადაკეტვა ან გადატანა. კონტრაქტორმა უნდა მოახდინოს შემოვლითი გზის ორგანიზება ტრანსპორტისა და/ან ქვეითად მოსიარულეთათვის ალტერნატიული მარშრუტის უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი ქუჩის ან საქვეითო გზის აყრის, გადაკეტვის, ან ნებისმიერი სხვა სახის ჩარევის შემთხვევაში, კონტრაქტორი ორგანიზებას გააკეთებს, რომ შეძლებისდაგვარად ნაკლებად მოხდეს ამ ქუჩაზე ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის დაბრკოლება სამშენებლო სამუშაოების მსვლელობისას.

იმ შემთხვევაში, როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოები იწვევს სახელმწიფო ან კერძო მფლობელობაში არსებული გზების, ან რაიმე სხვა სახელმწიფო ან კერძო სატრანსპორტო გასასვლელების გადაკეტვას, კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად უნდა მოახერხოს შემოვლითი გზებით უზრუნველყოფა. სამშენებლო და განათების სტანდარტები შესატყვისობაში უნდა იყოს ნებისმიერი კლასის სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნებთან, რომელიც არსებული გზებით სარგებლობს, ხოლო შემოვლითი გზების სიგანე შეძლებისდაგვარად არ უნდა იყოს მოქმედი გზის სიგანეზე ნაკლები. შემოვლითი გზები არსებული გზების გაუქმებამდე უნდა აშენდეს და ექსპლუატაციის დროს ადეკვატურად უნდა უზრუნველყოფდეს ტრანსპორტის მოძრაობას.

კონტრაქტორს ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა დროის საჭირო მონაკვეთში ყველა სავალდებულო საინფორმაციო ფირნიშების უზრუნველყოფის, აღმართვისა და შენარჩუნებისთვის.

სატვირთო მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა

კონტრაქტორმა, რომელსაც მყარი ან თხევადი სამშენებლო მასალები გადააქვს, მკაცრი ზომები უნდა მიიღოს გზების დანაგვიანების მინიმუმამდე დასაყვანად. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს მანქანების დატვირთვა იმგვარად, რომ არიდებულ იქნას სამშენებლო მასალის გადმოყრა ან გადმოღვრა და ასევე განახორციელოს ყველა იმ მანქანის გვერდითი და ზედა მხარის გადახურვა, რომლითაც ტალახი, ქვიშა, სხვა მასალები და სამშენებლო ნაგავი გადააქვთ. კონტრაქტორმა ასევე უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა სამშენებლო ობიექტზე შესვლამდე სატვირთო მანქანების გზატკეცილებზე გაჩერების თავიდან ასაცილებლად.

სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების ზომები

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, აღმართოს და შეინარჩუნოს ის საგზაო ნიშნები, საგზაო ნიშნულები, განათება, ბარიერები და სატრანსპორტო საკონტროლო ნიშნები, რომლებიც საჭირო იქნება სარეაბილიტაციო ობიექტის ახლო არეალში ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისათვის. კონტრაქტორი მანამდე არ დაიწყებს სამუშაოებს, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხონ სამანქანო გზებსა და გზატკეცილებზე მოძრაობა, სანამ სრულად არ ამოქმედდება სამუშაოებით გამოწვეული ყველა სატრანსპორტო უსაფრთხოების ზომა.

სამშენებლო ობიექტზე გამავალი გზა და შენობების მისადგომები

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას, კონტრაქტორი უსაფრთხოების ყველა შესაძლო ზომას მიიღებს, რათა მიმდებარე ტერიტორიების მფლობელებს, მაცხოვრებლებს და ზოგადად საზოგადოებას აარიდოს ან შეამციროს ნებისმიერი სახის შემაწუხებელი გარემოება ან უხერხულობა. კონტრაქტორი მოსახლეობას შეუნარჩუნებს მთელ სარეაბილიტაციო ობიექტზე ან მის ნაწილზე გავლის უფლებას, ასევე უზრუნველყოფს მიმდებარე შენობებთან საზოგადოებრივი და კერძო მისასვლელების უსაფრთხო მდგომარეობასა და იმავე სტანდარტების შენარჩუნებას, როგორც კონტრაქტის დასაწყისში იყო. საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს გადასასვლელის ან მისასვლელი გზის მისაღებ ალტერნატიულ საშუალებებს.

არსებული ნაგებობების დაცვა

კონტრაქტორი მშენებლობის პროცესში სათანადოდ დაიცავს ყველა შენობას, კონსტრუქციას, სამსახურს და ნაგებობას ზიანის, შემაწუხებელი გარემოებებისა და ნგრევისაგან. კონტრაქტორი მშენებლობის პროცესში ყველა შესაძლო ზომას მიიღებს თითოეული შენობის, კონსტრუქციის, მილგაყვანილობის, კაბელების, კანალიზაციის, რკინიგზის ან სხვა მოწყობილობების დასაცავად და ზიანის შემთხვევაში საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას.

ხმაურის და მტვერის კონტროლი

კონტრაქტორი ყველა პრაქტიკულ ზომას მიიღებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სარეაბილიტაციო ობიექტიდან გამოსული მტვერი და ხმაური. ეს ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სამუშაო საათების დაცვა საცხოვრებელ მასივებთან ან მასივებში;
- აღჭურვილობის შენახვა კარგ სამუშაო მდგომარეობაში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს დაზიანებული აღჭურვილობის მექანიკური ვიბრაციით, ჭრივით და გრუხუნით გამოწვეული ხმაური, ისევე როგორც მანქანებიდან გამონაბოლქვი და ორთქლი;
- აღჭურვილობის გამორთვა, როცა იგი გამოყენების პროცესში არ არის.

წყალმომარაგებასთან დაკავშირებული კონფლიქტები

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამუშაო ბრიგადას ადეკვატურად მიუწვდებოდეს ხელი უსაფრთხო წყალმომარაგებაზე, რაც შესაბამისი სამსახურის საზიანოდ უნდა აღინიშნოს, არც ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის უზრუნველყოფილი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წყლის შეზღუდულ რესურსებზე კონკურენციის რისკი, მაშინ კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილობრივი მომარაგება არ შეფერხდეს, ხოლო სამუშაო ბრიგადებს საჭიროებისამებრ წყალი მიეწოდოს ალტერნატიული წყაროდან (მაგ. ცისტერნებით).

ნარჩენების გადაყრა

კონტრაქტორი უნდა შეუთანხმდეს კლიენტ მუნიციპალიტეტს სამშენებლო ნარჩენების გადაყრის თაობაზე. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს ნაგავსაყრელი მყარი ნარჩენების გასატანად ან ნარჩენების ჩასამარხი პოლიგონი. რაიმე სახიფათო ნარჩენების უეცარი აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორი კლიენტს შეატყობინებს ზემოთხსენებული ფაქტის შესახებ და მკაცრად დაიცავს კლიენტის მითითებებს ამგვარი ნარჩენების გატანის შესახებ.

ნიადაგის დაცვა

კონტრაქტორი ყველა შესაძლო ზომას მიიღებს ნიადაგის დეგრადაციის და ეროზიის თავიდან ასაცილებლად. მძიმე ტექნიკის გამოყენება შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს მიწის გატკეპნის თავიდან ასაცილებლად. ნიადაგის ეროზია და ფერდობების ჩამოშლის პრობლემა უნდა გადაიჭრას ქანობების დატერასების, ხეების დარგვისა და ზღუდარების მშენებლობის მეშვეობით.

ხეებისა და სხვა მცენარეულობის დაცვა

კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად უნდა აიცილოს ხეების გაჩეხვა და სხვა მცენარეულობის დაზიანება. მწვანე საფარის განადგურება ობიექტზე ან მის სიახლოვეს მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მისადგომი მარშრუტების და სამშენებლო მასალების საწყობების, ასევე მძიმე ტექნიკის გასაჩერებელი ადგილების მდებარეობის ადეკვატური შერჩევის მეშვეობით.

საგანგებო კონტაქტები და პროცედურები

კონტრაქტორი თითოეული სარეაბილიტაციო ობიექტისთვის მოამზადებს საგანგებო სიტუაციის შემთხვევისთვის საჭირო საკონტაქტო ინფორმაციას, რომელიც გამოსაჩენ ადგილას იქნება გამოფენილი და ხელმისაწვდომი იქნება პერსონალისთვის. საგანგებო სიტუაციაში საკონტაქტო ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ტელეფონის ნომრებს და ადგილობრივი ხელისუფლების/სამსახურების შეტყობინების მეთოდებს ხანძრის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების, კომუნიკაციების მოშლის, სახიფათო მასალებთან დაკავშირებული პრობლემების და სხვ. შემთხვევებში.

სარეაბილიტაციო ობიექტის დასუფთავება სამუშაოების დასრულებისას

კონტრაქტორმა უნდა დაასუფთავოს ყველა სამუშაო ადგილი სარეაბილიტაციო ობიექტის შიგნით და გარეთ, მისასვლელების ჩათვლით, რომლებიც აღარ იქნება საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. ნარჩენი მიწა და მასალები, დროებითი გზები, დანადგარები, ფარდულები, ოფისები და დროებითი შემოღობვა აღებულ უნდა იქნას, საძირკვლები ამოვსებული, ხოლო მიწის ზედაპირი შეძლებისდაგვარად უნდა დაბრუნდეს საწყის მდგომარეობაში.

**ESIA (გარემოსდაცვითი სოციალური ზემოქმედების შეფასება)
ანგარიშების შემოთავაზებული ფორმატი**

მოკლე რეზიუმე

შესავალი

ტექნიკური და გარემოსდაცვითი სტანდარტები და რეგულაციები

გარემოსდაცვითი სკრინინგის შედეგი

საზოგადოების ჩართულობა

სენსიტიური გარემოსდაცვითი და სოციალური რეცეპტორები და პოტენციური ზეგავლენები

პროექტის ალტერნატივები

პროექტის აღწერა

გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

გარემოსდაცვითი და სოციალური საფუძვლები

მოსალოდნელი ზეგავლენები და შემამსუბუქებელი ზომები

გარემოსდაცვითი მართვის ეგგმა

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლოატაცია

თავი 1. შესავალი

თავი 2. სამართლებრივი და სტრატეგიული ჩარჩო დოკუმენტი

თავი 3. ტექნიკური და გარემოსდაცვითი სტანდარტები და რეგულაციები

თავი 4. ქვე-პროექტის აღწერა

თავი 5. ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი

თავი 6. გარემოსდაცვითი სოციალური ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

თავი 7. ფიზიკური, ბუნებრივი და სოციალური გარემო

თავი 8. სენსიტიური რეცეპტორები და პოტენციური ზეგავლენები

თავი 9. ზეგავლენის შემსუბუქება

თავი 10. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

დანართი 1. გარემოსდაცვითი მართვის მატრიცა

დანართი 2. საჯარო კონსულტაციები

დანართი 3. მითითებები

დანართი 4. რუკები, დიაგრამები, სურათები

დანართი 5. EIA გუნდის შემადგენლობა



პროექტების ანალიზის სამმართველო
 გარემოს დაცვის ანალიზისა და განსახლების განყოფილება
 გ ა რ ე მ ო ზ ე ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი

სამშენებლო ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა					
კონტრაქტორის დასახელება					
ვიზიტის თარიღი (წელი/თვე/რიცხვი)					
ზედამხედველის ვინაობა (სახელი, გვარი)					
სამშენებლო სამუშაოს მიმდინარე ეტაპი					
შესამოწმებელი დოკუმენტები და ფაქტები	სტატუსი				კომენტარი
	დიახ	ნაწილობრივ	არა	არ ეხება	

ნებართვები, ხელშეკრულებები	კონტრაქტორს გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია					(თარიღი, ნომერი)
	კონტრაქტორს გააჩნია სამშენებლო მასალების (ცემენტი, ასფალტი, აგური, ა.შ.) წარმოებისას გარემოზე ზემოქმედების ნებართვა					(თარიღი, ნომერი)
	კონტრაქტორს მიღებული აქვს სამშენებლო ნარჩენების საბოლოო განთავსების ნებართვა					(თარიღი, გამცემი, გამოყოფილი ადგილის დასახელება)
	კონტრაქტორს გაფორმებული აქვს სასიფათო ნარჩენების გადაცემისა და გატანის ხელშეკრულება (ლიცენზირებულ ორგანიზაციასთან)					(თარიღი, ორგანიზაციის დასახელება)
სამშენებლო სამუშაოთა წარმოება	სამშენებლო ობიექტი შემოსაზღვრულია და გამაფრთხილებელი ნიშნები მოწყობილია					
	მშენებლობა არ აფერხებს ქვეითთა და ტრანსპორტის გადაადგილებას, ან მოწყობილია დროებითი შემოვლითი გზები					
	სამუშაო საათები დაცულია დასახლებულ ობიექტებში და მათ სიახლოვეს					
	წყლის, ელექტროენერჯის, ან გაზის მიწოდების დროებითი შეჩერების აუცილებლობისას ხდება მომხმარებელთა წინასწარი გაფრთხილება					
	სამშენებლო მანქანები და ტექნიკა გამართულია (არ შეინიშნება საწვავ-საპოხის კონვა, ჭარბი გამონაბოლქვი და ხმაური)					
	სამშენებლო მასალა და ნარჩენები დროებით დასაწყობებულია ობიექტზე გამოყოფილ განსაზღვრულ ადგილას					
	სამშენებლო ნარჩენების ობიექტიდან გატანა ხდება რეგულარულად, წერილობით ნებადართულ ადგილას					

	ტრანსპორტირებისას სამშენებლო მასალა და ნარჩენები თავსდება გადახურულ ძარაზე					
	სამშენებლო ობიექტი ირწყვება მტვრის ინტენსიური წარმოქმნის და მშრალი ამინდის პირობებში					
	სამშენებლო ობიექტზე / ბანაკში განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები					
	სამშენებლო ბანაკში მიყვანილია წყალი, მოწყობილია ტუალეტი და დაცულია მისი სანიტარული მდგომარეობა					
	მიწის სამუშაოთა წარმოებისას არქეოლოგიური აღმოჩენისთანავე სამუშაო წყდება და ხდება დამკვეთის წერილობითი ინფორმირება					
უსაფრთხოების ზომები	მუშახელი იყენებს ცალკეული ტექნოლოგიური პროცესებისთვის აუცილებელ პირად დამცავ საშუალებებს (ჩაფხუტები, ხელთათმანები, რესპირატორები, სათვალეები და ა.შ.)					
	სამშენებლო ობიექტზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების საბაზისო ნაკრებები					
სამუშაოთა დასრულება	ძირითად სამუშაოთა დასრულებისას წარმოებს ობიექტის საბოლოო დასუფთავება, გარე ლანდშაფტთან ჰარმონიზება და გამწვანება					
	კარიერის ან მისი ცალკეული უბნის ექსპლუატაციის დასრულებისას წარმოებს ფუჭი მასალის უკუჩაყრა, კომპაქტირება, ტერასირება, და ლანდშაფტთან ჰარმონიზება					

საჯარო კონსულტაციის

ოქმი

გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტი

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი

2013 წლის 1 მაისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრა გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის განსახილველად, რომლებიც მომზადდა ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტისათვის, რაც მოიცავს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებულ ორ ან სამ ქვე-პროექტს.

მოსახლეობა საჯარო კონსულტაციების შესახებ წინასწარ იყო ინფორმირებული. შესაბამისი განცხადება გამოკრული იყო თელავისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების გამგეობების საინფორმაციო დაფებზე. სევე, დოკუმენტაცია ელფოსტის მეშვეობით დაეგზავნა დაინტერესებულ მუნიციპალიტეტებს. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტი და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი მგფ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და განსახლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები, ასევე გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურა, შინაარსი, სამართლებრივი საფუძველი და მოთხოვნები, რაც ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის სამოქმედო სახელმძღვანელოს ნაწილს წარმოადგენს.

მგფ-ს წარმომადგენლები:

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ალექსანდრე ლეჟავა	მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)
შალვა კოკონაშვილი	მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)
ალექსანდრე დუმბაძე	გარემოს დაცვის, ანალიზისა და განსახლების განყოფილების უფროსი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)
ნინო პატარაშვილი	მთავარი სპეციალისტი გარემოს დაცვის, ანალიზისა და განსახლების განყოფილება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)
ნიკოლოზ სოსელია	სპეციალისტი გარემოს დაცვის, ანალიზისა და განსახლების განყოფილება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)
ეკატერინე მუმლაძე	სპეციალისტი გარემოს დაცვის, ანალიზისა და განსახლების განყოფილება საქართველოს მუნიციპალური

	განვითარების ფონდი (მგფ)
ნათია ჯუღელი	სპეციალისტი იურიდიული განყოფილება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)

საჯარო კონსულტაციებს ესწრებოდნენ წყალტუბოსა და თელავის მუნიციპალიტეტების და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები (იხ. ფოტოები).





ჩამდინარე წყლების
მდგრადი განკარგვის
პროექტი

გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი
(EMF)





დამსწრეთა სია თანდართულია.

შეხვედრა გახსნა მგფ-ს წარმომადგენელმა ალექსანდრე ლეჟავამ, მან დამსწრეებს შეატყობინა შეხვედრების შინაარსის შესახებ.

ალექსანდრე ლეჟავამ და შალვა კოკოჩაშვილმა (მგფ-ს თანამშრომლები) დამსწრეებს გააცნეს ინფორმაცია მგფ-ს ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ თელავსა და წყალტუბოში, რომლებიც სხვადასხვა სტადიაზეა (დასრულებულია, მიმდინარეა ან დაგეგმილია). აგრეთვე განხილულ იქნა ზემოხსენებული საქმიანობების მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებისათვის, არსებული სიტუაცია და შესაძლო სამომავლო შედეგები. აღინიშნა, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას ძალზედ დადებითი ზეგავლენა ექნება ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრების განვითარებაზე და რომ იგი დაკავშირებულია ეკონომიკურ ინფრასტრუქტურულ სამსახურებთან და ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარებასთან.

მგფ-ს გარემოს დაცვის, ანალიზისა და განსახლების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნინო პატარაშვილმა დამსწრეებს წარუდგინა ინფორმაცია გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესახებ, რომლებიც ზემოხსენებული ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტისათვის მომზადდა. მან დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ზემოხსენებული დოკუმენტების მომზადების მიზნების შესახებ და საზოგადოება გაათავისუფლა ამ დოკუმენტების სამართლებრივ საფუძველთან, სტრუქტურასა და არსთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე განხილული იქნა განსახლებასა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საკითხები, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის და საქართველოსა და მსოფლიო ბანკის სამართლებრივი მოთხოვნების ჩათვლით, ასევე გარემოსდაცვითი და განსახლების დოკუმენტაციის მომზადების მეთოდოლოგია და ფორმატი, მათი კოორდინაციის, განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხი და დაინტერესებული მხარეების მოვალეობები, პასუხისმგებლობები და საანგარიშგებო ვალდებულებები.

ისინი ასევე ინფორმირებულნი იყვნენ თავისი უფლებებისა და საკონსულტაციო პროცესში ჩართულობის შესახებ გარემოსდაცვითი და სოციალური (განსახლების) დოკუმენტაციის მომზადების განმავლობაში.

შეხვედრის პროცესში განხორციელდა ქვემოთმოყვანილი ძირითადი საკითხების პრეზენტაცია:

- ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ქვე-პროექტების მოკლე აღწერა;
- განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესავალი
 - პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული საფუძველი
 - მსოფლიო ბანკის პოლიტიკა, უსაფრთხოების პრინციპები და საქართველოს კანონმდებლობა
 - პროექტისათვის მიღებული განსახლებისა და მიწის შესყიდვის პრინციპები
 - უფლებამოსილება და უფლებები
 - განხორციელება
 - შეთანხმებები
 - საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი
 - განსახლების სამოქმედო გეგმის მონახაზი

■ გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის შესავალი

- პროექტის შესატყვისობა გარემოსდაცვით პრინციპებთან
- ქვე-პროექტების სკრინინგი და დამტკიცება
- გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა
- საჯარო კონსულტაციები
- მგფ-ს კონტრაქტორების გარემოსდაცვითი ვალდებულებები
- გარემოსდაცვითი მონიტორინგი
- ანგარიშგება

■ მოსახლეობის ჩართულობა საკონსულტაციო პროცესში.

შეხვედრის დასრულებამდე მგფ-ს წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს თელავისა და წყალტუბოს მინიციპალიტეტების წამომადგენლებს, ვინაიდან საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის პროექტების განხორციელების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ლამის მართვასთან დაკავშირებული საკითხი, დახმარება გაუწიონ მგფ-ს მუნიციპალიტეტების დონეზე ლამის განთავსების და განკარგვის საკითხთან დაკავშირებით. პრეზენტაციას მოჰყვა დებატები. მგფ-ს თანამშრომლების მიერ ჩატარებული კითხვა-პასუხის სესია დანართში არის მოცემული ცხრილის №1 ფორმით.

კითხვა-პასუხის სესია:

შეკითხვა/კომენტარი	კომენტარები
ვის მიერ მოხდება გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის მომზადება	საგრანტო ხელშეკრულებით განისაზღვრება პროექტზე პასუხისმგებელი მხარეები. სავარაუდოდ წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება მოხდება MDF-ს და UWCG-ის ურთიერთკოორდინაციითა და შეთანხმებით.
ქვეპროექტების განხორციელებისთვის თუ საჭირო გახდა RAP-ის მომზადება ვის მიერ მოხდება საკომპენსაციო თანხის გადახდა	მსგავს შემთხვევაში თანხების გადახდა, როგორც წესი, ხორციელდება ცენტრალური ბიჯეტიდან
თელავისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების წამომადგენლების განმარტებით ორივე მუნიციპალიტეტში გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა დაგეგმილია ძველი გამწმენდების ტერიტორიაზე, რომელიც გასხვისებული არ არის და არ დადგება განსახლების საჭიროება.	შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია წინასაპროექტო ეტაპზე საპროექტო ტერიტორიების მოკვლევა და საკუთრების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტის მოძიება.

ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტი










ქ. თბილისში დაგეგმილი გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის საჯარო განხილვა

შეხვედრაზე დამსწრეთა სია

ქ. თბილისი

01.05.2013 წ.

#	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ბაგუჩ ჩხეიძე	საქ. ვიეს ნაილ. კომპ. ნაილ-ინჟ. ს. შიხაჯიანი ქუჩის	ბ. ჩხეიძე geobokuri@gmail.ru
2.	ბესიკ ნიბლაძე	კუჩა, ნაკომბ. კომპ. კახეთის რეგიონალური სასაბუნო-ეკონ. სამსახური	ბ. ნიბლაძე besik_nibladze@yahoo.com
3.	გორგი მჭვირვალი	ბაგუჩი. ნაკომბ. კომპ. განსახლება სახელოს ქუჩის	გ. მჭვირვალი
4.	ლილია ვადალი	ნაკომბ. კომპ. გარეკონსტრუქციის მუშაობის და ინჟინერების სამსახური	ლ. ვადალი
5.	ვარლამ ვადალი	ნაკომბ. კომპ. გარეკონსტრუქციის მუშაობის და ინჟინერების სამსახური	ვ. ვადალი VARLAM555@gmail.com
6.	მარიამ ნიბლაძე	ნაკომბ. კომპ. გარეკონსტრუქციის მუშაობის და ინჟინერების სამსახური	მ. ნიბლაძე zhi083@mail.ru
7.	გიორგი კვიციანი	ნაკომბ. კომპ. გარეკონსტრუქციის მუშაობის და ინჟინერების სამსახური	გ. კვიციანი

#	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
8.	შალვა გასიტაძე	საქ. კაბინა, სერდობაძე ქ. 5022. ქვემო ხეობის ქ. ქ. შირაქი	 shalva_gasita@mail.ru
9.	სოსო ვაკლიაძე	საქ. ადგილი, სერდობაძე ქ. 5022 ვახტანგის ქ. მენჯაძე	
10.	აქესო მუხეშ	მგვ-1 გზის დეპარტამენტის განსახილველ განყოფილება	
11.	აქესო მუხეშ	მგვ-1 ს. ხაშაშვილი, თბილისი ქ. ქ. მთაწმინდა, ს. ხაშაშვილი ქ. 260000	
12.	ნათია ჯაფარიძე	მგვ-1 ადგილი, სერდობაძე ქ. 5022 საქ. კაბინა	
13.	ნიკოლოზ ლომიძე	მგვ-1 მ. ვ. ვ. - მ. ს. ს. ს.	
14.	ნიკოლოზ ლომიძე	მგვ-1 მ. ვ. ვ. - მ. ს. ს.	
15.	შალვა ვაკლიაძე	მგვ	
16.	საქ. კაბინა	მგვ	
17.			